

როგორ ვასწავლოთ მეხსიერების და დასწავლის სირთულეების მქონე ბავშვს?



- 1 გრძელი, 2-3 საფეხურიანი ინსტრუქცია დაყავით და თითო ჯერზე მიაწოდეთ თითო ინსტრუქცია.
- 2 სიტყვიერ აღწერილობას შემლებისდაგვარად დაურთეთ თვალსაჩინო მასალა - მაგ., სურათები ან წერილობითი აღწერა.
- 3 თუ ბავშვს აქვს მოცულობით დიდი ინფორმაციის გაგების და დამახსოვრების სირთულე, ისაუბრეთ ნელა და ხშირად გააკეთეთ პაუზა.
- 4 სთხოვეთ ბავშვს გაგიმეოროთ მიცემული ინსტრუქცია, რათა დარწმუნდეთ რომ გაიგო ნათქვამი.
- 5 საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ მიცემული მითითებები.
- 6 პერიოდულად შეაჯამეთ უკვე მიწოდებული ინფორმაცია.
- 7 ახალი მასალის ახსნამდე, გააკეთეთ შესავალი და გააცანით ძირითადი საკითხების ჩამონათვალი რაზეც საუბარს აპირებთ, შეგიძლიათ მიაწოდოთ ნაწილობრივ შევსებული გრაფიკული ცხრილიც, რომლის ბოლომდე შევსებას ბავშვის დავალება იქნება.
- 8 ტექსტის წაკითხვის შემდეგ, სთხოვეთ ბავშვს გააკეთოს წერილობითი ჩანაწერი მთავარი აზრის ან არსებითი დეტალების შესახებ.
- 9 წაახალისეთ ბავშვი გამოიყენოს გრაფიკული ცხრილები, მაგალითად, მოთხრობის თანმიმდევრობისთვის, ჯერ მოხდა... შემდეგ....ბოლოს..... ან ავტორი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, რადგან ...მიზეზი 1, მიზეზი 2, მიზეზი 3...
- 10 სთხოვეთ ბავშვს თავად შეადგინოს ტექტი მოსამზადებელ მასალაზე დაყრდნობით, ეს დაგეხმარებათ იმის გარკვევაში თუ რამდენად კარგად აქვს გაგებული ესა თუ ის საკითხი.
- 11 ტექსტის დამუშავების დროს, უკეთ აღქმის და დამახსოვრების მიზნით ასწავლეთ სხვადასხვა სიმბოლოების გამოყენება, მაგალითად აკრონიმების.
- 12 ურჩიეთ ბავშვს გაიმეოროს სასწავლო მასალა დაძინებამდე ცოტა ხნით ადრე.
- 13 წაახალისეთ ბავშვი შეადგინოს გრაფიკი გაკვეთილების, შესასრულებელი დავალებების, ასევე შესრულების ვადების შესახებ.
- 14 ფაქტების შესახებ ცოდნა განამტკიცეთ სხვადასხვა კონტექსტში.
- 15 გადადით ახალ მასალაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი დაძლევს მანამდე მიწოდებულ მასალას.



ზიჯლოქვას დეამ ჯერ
წამყვანი გამოყვხო,
ქემდეგ ჰეპისასან წაიღა...